პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 შაბათი 9 ოქტომბერი № 238 (16668) ფასი 2 კაპ. 1976

მილიონების ანგარიშში

თბილისის მრეწველობის მუშაკებმა 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში ცხრა თვეში 39 მილიონ 972 ათასი მანეთის პროდუქცია შეიტანეს

ეს სამოცდაათი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვებისათვის გაშლილ შეჯიბრებაში საქართველოს მრეწველობის მუშაკებს დამკვრელური შრომის მაგალითს აჩვენებენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

დედაქალაქის მრეწველობამ, რომელმაც იკისრა წლიულს 50 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოოს, ცხრა თვის მაჩვენებელზე გეგმის გადამეტებით გამოუშვა 39 მილიონ 972 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან 14 მილიონ 912 ათასი მანეთის ზეგეგმითი ნაწარმი მესამე კვარტალზე მოდის.

აღსანიშნავია, რომ თბილისის ყველა რაიონის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების და რეალიზაციის დავალებები და ანგარიდა 50 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში ამ პერიოდისათვის ნაკისრი ვალდებულებები.

მასების შრომითი აქტიურობა

3 ოქტომბერი მშენებლობის პროცესში ჩვენი ლენინური პარტია წარმატებით ასრულებს საბჭოთა ხალხის საქმეების სულისჩამდგმელისა და პოლიტიკური ორგანიზატორის დიდ როლს. როგორც საფრანგეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, პარტია რაზმავს ხაზოგადოების ყველა ენერგიას, ყველა ეროვნებას, უნერგავს ადამიანებს ნებისყოფას, მზადყოფნასა და უნარს იბრძოლონ კომუნიზმის იდეალებისათვის. ამავდროულად პარტიის საქმიანობის მთავარი მიმართულება ის არის, რომ ხელი შეუწყოს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი და უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოს ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობა, მათი შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესება.

გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიური პროგრამის შესასრულებლად, რომელიც ყრილობამ შეიმუშავა, სასწაროა მუშაობა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალების სრული მობილიზაცია. პარტია ამისათვის იყენებს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ყველა საშუალებასა და ფორმას. და მეათე ხუთწლედის ყოველი ახალი მიჯნის მიღწევა-ულ უფრო მკაფიოდ ავლენს იმის უნარს, ვ. ი. ლენინის სიტყვებით-ომ ვთქვათ, „გამოიყენოს მასების ენერგია, გმირობა, ენთუზიაზმი და წარმართოს რევოლუციურად დაძაბული ძალები უმნიშვნელოვანესი მორიგი ამოცანის შესასრულებლად“.

ხუთწლედის პირველი წელი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ხალხის ინიციატივის შემდგომი ზრდით აღინიშნა. მასალის აღმშენებლობითი აქტივობა განსაკუთრებით სრულად ვლინდება სოციალისტურ შეჯიბრებაში, მის ახალ ფორმებში. მილიონების

ბრძოლო ლოზუნგი გახდა დევიზი: „ხარისხის ხუთწლედს — უფრო მარანტია“ მასობრივად გავრცელდა პატრიოტული თაოსნობანი: „თვითეულის მუშაობის მაღალი ხარისხიდან — კოლექტივის შრომის მაღალი ეფექტიანობისაკენ“ „არც ერთი ჩამორჩენილი ჩვენს გვერდით“. დასავლეთ ციმბირის მენავთობეთა, დონეცკელ მეშახტეთა და მოსკოველ ენერგეტიკოსთა კარავი თაოსნობით ბევრი კოლექტივი ეძებს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების ადამატებითს რეზერვებს. ყველგან კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა ბრძოლა შემხვედრი გეგმების შესამუშავებლად.

წელს განსაკუთრებული მგზნებარებით გაჩაღდა პუროსათვის ბრძოლა ჩვენი ქვეყნის ყანებში. კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები განსაკუთრებული აღმავლობით გამოეხმაურნენ პარტიის იმ მოწოდებას, რომ ყველა სამუშაოს ჩინებული ორგანიზაციით შეხვედროდნენ რთულ მეტეოროლოგიურ პირობებს, და ამის შედეგად კარგი მოსავალიც მიიღეს. მათ იკისრეს ხახელმწიფოსთვის მარცვლეულის მიყიდვის ვალდებულება. ყველაზე ენერგიულნი და ნამდვილი ენთუზიაზმი და თავგადადება გამოიჩინეს, რომ პირნათლად შეესრულებინათ სიტყვა. ვალდებულებათა შესრულება უკვე უპატიკეს სამშობლოს ბევრი მოკავშირე და ავტორიტეტული რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მხვნელ-მთესველებმა.

ПРАВДА

8 ოქტომბრის მოწინავე

ხალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება საბოლოო ანგარიშით დამოკიდებულია მასების აქტიურობაზე, იმაზე, თუ როგორ მუშაობენ კომუნისტები, ყველა მშრომელი. უდიდეს ქმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ სკკპ XXV ყრილობის შემოქმედებითი ხასიათსკვეთება, მისი იდეები, რომლებიც მილიონობით ადამიანმა აქცია, სულ უფრო მეტად ხდება მატერიალური ძალა, წინაშელის ძლავრი დამჩქარებელი. ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ეს აღნიშნა ყაზეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე წარმოთქმულ სიტყვაში და თქვა: „პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა, მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის მთავარი ამოცანაა უზრუნველყონ, რომ კვლავაც მაღლდებოდეს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობა, სულ უფრო ძლიერდებოდეს მათი ცხოველი მონაწილეობა ძირეული ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში“.

მხარი უნდა დავუჭიროთ და ყოველნაირად განვავითაროთ თვითეული შრომითი კოლექტივის, თვითეული საბჭოთა ადამიანის მისწრაფება ღირსეული წვლილი შემატონ კომუნისტური შენებლობის ეროვნულ-სახალხო საქმეს. ცნობილია, რომ ეს წვლილი უწინარეს ყოვლისა იზომება ხუთწლედის საგეგმო დავალებათა შესრულებით, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობითა და ხარისხით — ერთი სტატეგიით, საბოლოო შედეგებით. სწორედ საბოლოო შედეგები ადასტურებს ბენეფიციარებისა ეფექტიანობასა და ხარისხი, როგორ ხუთწლედის ბოლოს ეს ეფექტიანობა ამა თუ იმ საწარმოს, საამქროს, ბრიგადის მუშაობის ეფექტიანობა და ხარისხი, როგორ ხუთწლედის პირველი წლის სამი კვარტლის შედეგებს ვაჯამებთ. ამ შედეგების ობიექტურად ანალიზი ანალიზი ახალი გამოცდილების, ახალი ინიციატივების, ახალი ენერგიის წყაროა იმისათვის, რომ ეფექტიანი დავამთავროთ წელი.

ამასების ცხოველი მონაწილეობა ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის შესანიშნავი გამოვლინებაა. ადამიანის შემოქმედებითი ძალების გამოყენების ძირითად სფეროში — წარმოების სფეროში დემოკრატიული საწყისების გაფართოებასთან და განმტკიცებასთან ერთად იზრდება მუშაკების აქტივობაც, მათი როლი მთელ სამეურნეო საქმიანობაში. უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა ინფორმირებას. პარტიულ ორგანიზაციებს, წარმოების ხელმძღვანელებს ისინი მუდამ საქმეებისა და მორიგი ამოცანების კურსში უნდა ჰყავდეთ. ვერ შევუდგებით ისეთ მდგომარეობას, როგორიც შეიქმნა, მაგალითად, ყაზბინშვილი ქარხანა „წითელ ოქტომბერში“. როგორც საკავშირო ოფსაბჭოს აღასწინანდელ პლენუმზე აღინიშნა, იქ ბევრ მუშახა და სპეციალისტს ზუსტი წარმოდგენაც კი არა აქვს ხუთწლედის პირველი წლის მიჯნებზე, არ იცის, ვინ არის წინ და ვინ ჩამორჩება, რა არის საგეგმო დავალებათა ჩაშლის მიზეზები.

წარმოების მართვის დემოკრატიული პრინციპების განვითარებაში დიდი როლი ეკუთვნის პროფესიულ კავშირებს. მასების შემოქმედებითი აქტივობის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები ადგილთა აქტივობის ამაღლებასთან დაკავშირებული საკითხები პროფკავშირულ ორგანიზაციათა ამჟამად მიმდინარე სანგარიშგასაწევნო კრებების ყურადღების ცენტრში დგას. ამ საკითხების წარმატებით გადაწყვეტისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება სსრ კავშირის პროფკავშირების მომავალ XVI ყრილობას.

საბჭოთა ადამიანების ინიციატივის, შემოქმედების, გაბედული ინიციატორობის ზრდა ბევრად არის დამოკიდებული ყველა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მუშაობაზე. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა აქტიურ და გავლენიან მამობილიზებელ ძალას წარმოადგენს საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი — ლენინური კომკავშირი. მშრომელთა შემოქმედებითი აზრიც განვითარდა ხელს უწყობენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება, სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოებანი, სხვა თვითმოქმედი ორგანიზაციები. ჩვენი ცხოვრების მთელი წყობა, თვითეულ ადამიანს შრომითს ასპარეზზე თავისი ძალებისა და ნიჭის სრული გამოვლინების უფართოეს შესაძლებლობებს უსახავს.

ჩვენი ქვეყანა ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავის შესახვედრად. ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მზადება შრომითს კოლექტივებში ახალი პატრიოტული ამაღლების მზადავრი სტიმულია. პარტია ყოველ ღონეს ხმარობს, რომ განუხრელად განავითაროს საბჭოთა ხალხის რევოლუციურ-შემოქმედებითი სულისკვეთება და ენთუზიაზმი. მასების მზარდი შრომითი აქტივობა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების უტყუარი საწინდარია.

გულითად ვითარებაში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 7 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში სადილი გაუმართეს ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარეს, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს ამხანაგ ანტონიო აგოსტინიო ნეტოს.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილად იყვნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ა. გრომიკო, კ. ტ. მაზუროვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. თ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატათა თავმჯდომარეები, მინისტრები, სხვა ოფიციალური პირნი.

ანგოლის მხრივ სადილად იყვნენ ანგოლის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრები.

სადილზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგო ანტონიო აგოსტინიო ნეტო!

პატივცემულო ანგოლის დელეგაციის წევრებო!

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის სახელით გულითადად მოგიხალისოთ ჩვენს ძვირფას მეგობრებს — ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციას. ჩვენ ძალზე მოხარული ვართ, რომ აქ, ჩვენს შორის, ვხედავთ რესპუბლიკის პრეზიდენტს, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარეს ამხანაგ ნეტოს — ახალი აფრიკის გამოჩენილ მოღვაწეს.

თქვენ, ამხანაგო ნეტო, წინათაც ყოფილხართ ჩვენ საბჭოთა კავშირში. ეს ის წლები იყო, როცა ანგოლელი ხალხი თქვენი მეთაურობით მოქმედი სპარტიზანული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით თავდადებით იბრძოდა კოლონიური ბატონობისაგან ხსნისათვის. სწორედ იმ ძნელბედობის დროს ჩამოყალიბდა და გამოიწრთო ჩვენი ხალხების მეგობრობა.

დღეს საბჭოთა ადამიანები პირველად გამასინძლობენ თქვენ და თქვენი დელეგაციის წევრებს როგორც სუვერენული ქვეყნის — თავისუფალი მეგობარი ანგოლის საპატიო წარმომადგენლებს.

ანგოლელმა ხალხმა ძნელი, მაგრამ სასახელო გამარჯვება მოიპოვა, ეს გამარჯვება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ მოპოვებულია ბრძოლაში, რომელიც ერთდროულად წარმოებდა როგორც ძველი, ისე თანამედროვე კოლონიალიზმის წინააღმდეგ. თქვენ დამარცხება აგიმეთ შინაგან რეაქციასაც, ინტერვენტებსაც — დაქირავებულებს და რასისტებს. თქვენმა ხალხმა ღირსეულად მოიგერია თავისუფლების მტრების გაერთიანებული ძალების შემოტევა. ამას ისტორიული მნიშვნელობა აქვს მთელი აფრიკისათვის.

ანგოლის გამარჯვება თქვენი ხალხის, თქვენი რევოლუციური ავანგარდის სიმტკიცისა და ვაჟკაცობის შედეგია. ამასთანავე ეს არის ინტერნაციონალიზმის, პროგრესის ძალების საერთაშორისო სოლიდარობის გამარჯვება. თქვენს მხარეზე იყო აფრიკის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი. თქვენ ბრძოლის დაწყებიდანვე აქტიურად გეზმარებოდნენ საბჭოთა კავშირი, კუბა, სხვა სოციალისტური ქვეყნები. თქვენს მხარეზე იყვნენ პორტუგალიის კომუნისტები და ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი, მთელი მსოფლიოს პროგრესული ადამიანების სიმპათია და თანაგრძნობა.

ანგოლის ამბებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს დღევანდელობის დიდი ჭეშმარიტება: ხალხს, რომელსაც მტაცედ აქვს გადაწყვეტილი დაიცვას თავისუფლება და ინტერნაციონალური სოლიდარობა, ამხნევებს, — მტერი ვერას დააკლებს. ყველას, ვისაც ნამდვილად უნდა, რომ ისწავლოს რევოლუციური გამოცდილებით, სწორედ ასეთი დასკვნა გამოაქვს ამ ამბებიდან.

ახალი ანგოლის დამადება დროის მოთხოვნაა. და, ბუნებრივია, რომ მას მხურვალე მიესალმა ყველა, ვინც მშვიდობისა და ეროვნული თავისუფლების მომხრეა. ევროპის 29 კომუნისტურმა და მუშათა პარტიამ ბერლინის კონფერენციაზე ერთსულოვნად დაუჭირა მხარი ანგოლის მთავრობას და ხალხს, მათს მეცადინეობას ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და პროგრესის გზით განვითარებისათვის. ახალგაზრდა აფრიკული სახელმწიფოს შექმნას გაგებით შეხვდნენ დასავლეთის იმ წრეებშიც, რომლებსაც უნარი შეხწევთ რეალისტურად აფასებდნენ თანამედროვე მოვლენების მიმდინარეობას.

სუვერენული ანგოლა სრულუფლებიან წევრად არის მიღებული აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციაში, მიუშბრობლობის მოძრაობაში და, ამრიგად, უკვე საერთაშორისო გაერთიანების აქტიური მონაწილე გახდა.

ახლა სულ უფრო ხმამაღლა, სულ უფრო მტკიცედ გაისმის მოთხოვნა, რომ ბოლო მოეღოს რასისტების ბატონობას აფრიკის სამხრეთში. ესეც დროის მოთხოვნაა. მას მხოლოდ უკიდურესი რეაქციის წარმომადგენლები ეწინააღმდეგებიან.

მტკიცედ ვართ დარწმუნებულნი, რომ ზიმბაბვესა და ნამიბიის პრობლემებს ამ ქვეყნის ხალხებიც უნდა წყვეტდნენ. აფრიკის უკანასკნელი წლების ამბები მოწმობენ, რომ მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება გადაიჭრას მსგავსი პრობლემები სწორად, სამართლიანად, ნამდვილად თვით ხალხთა ინტერესებისათვის.

თუმცა, ახლა, როცა აფრიკამ ცხადყო, რომ მას ძალუძს თვითონ გაუმკლავდეს კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთებს, ზოგზოგები ამ პროცესის ხელშეწყობის ალმით ცდილობენ შეცვალონ აფრიკის სამხრეთის ნამდვილი განთავისუფლება ფიქციური განთავისუფლებით, და არსებითად შეუნარჩუნონ პოზიციები იმპერიალიზმს ამ რაიონში, შეეშველონ რასიზმის მორყეულ ციტადელს — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ძალაუფლებას.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის პოზიციას ამ საკითხში, იგი ნათელი და გარკვეულია. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და გვინდა კვლავ გავიმეოროთ: ჩვენ არა გვაქვს და არც შეიძლება გვქონდეს რაიმე „განსაკუთრებული ინტერესი“ აფრიკის არც სამხრეთში, არც ჩრდილოეთში, არც რომელიმე სხვა ნაწილში, და იქ ჩვენთვის რაიმე სარგებლობას არ ვეძებთ. ჩვენ მხოლოდ ის გვნდა, რომ ცნონ ყოველი ხალხის წმინდათა წმიდა უფლება — თვითონ განსაზღვროს თავისი ბედი, აირჩიოს განვითარების საკუთარი გზა. ეს ჩვენი უცვლელი პრინციპია, რომელსაც ჩვენი პარტია, არც ერთი საბჭოთა ადამიანი არასოდეს არ უღალატებენ.

ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ არ შეიძლება თავისუფალ ხალხს სხვა ხალხების თავისუფლება არ უნდოდეს, არ შეიძლება მხარს არ უჭერდეს თავისუფლების ეროვნულ-სამართლიანი ბრძოლებს. და ჩვენ დარწმუნებული ვართ: თუ აფრიკის ყველა ხალხი, უკლებლივ ყველა ჩაგრული ხალხი თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მოიპოვებენ, ეს მხოლოდ არგებს ქვეყნად მშვიდობისა და, საერთაშორისო უშიშროების საქმეს.

ძვირფასო ანგოლელო მეგობრებო!

დიდად გვახარებს თქვენი პირველი წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. მთავარია, რომ უცხოთის ხელიც ჩაგვრისაგან განთავისუფლებულმა თქვენმა ხალხმა მხარი დაუჭირა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის მიერ წამოყენებულ დრმა სოციალურ-ეკონომიური გარდაქმნების პროგრამას, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, მიზნად ისახავს ყოველგვარი ექსპლოატაციის, მათ შორის კაპიტალისტური ექსპლოატაციის ლიკვიდაციას.

რა თქმა უნდა, ძნელი გზა აქვს გასავლელი ახალგაზრდა სახელმწიფოს, მეტადრე თქვენისთანას, რომელმაც ისეთი ძმინე განსაცდელი გადაიტანა, როგორიც წილად ხვდა ანგოლას. ჩვენთვის გასაგებია თქვენი მისწრაფება, რომ რაც შეიძლება მალე აღადგინოთ ომით გაპარტახებული მეურნეობა, უმოკლეს ვადაში შექმნათ სახალხო ხელისუფლების ორგანოები, უზრუნველყოთ ეროვნული კულტურის აღმავლობა, ყველაფერი იღონოთ, რათა მშრომელმა მასებმა იგრძნონ მოპოვებული გამარჯვების რეალური ნაყოფი. ამისათვის, უეჭველია, საჭირო იქნება ხალხის ენერგიისა და აღმშენებლობითი ძალების მობილიზაცია, ღრმად მოფიქრებული პოლიტიკა და დიდი სიმტკიცე.

ვფიქრობ, მთელი რიგი საკითხების გადაწყვეტაში დაგვეხმარება საბჭოთა კავშირ-ანგოლის თანამშრომლობა. მის განვითარებას უკვე ჩაყრილი აქვს კარგი საფუძველი. ვიმედოვნებთ, რომ მოლაპარაკება, რომელიც ახლანდელი ვიზიტის დროს გაიმართება, სიამეტდოდ განამტკიცებს ჩვენს მეგობრობას და ახალ სტიმულს მისცემს საბჭოთა კავშირ-ანგოლის ურთიერთობის გაღრმავებასა და გაფართოებას.

ჩვენ მზად ვართ განვავითაროთ უალრესად გულწრფელი, მეგობრული ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიასა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობას შორის, საბჭოთა კავშირსა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკას შორის ურთიერთპატივისცემის, თანასწორობის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების საფუძველზე.

მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ყოველივე ეს მთლიანად შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, ემსახურება მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის, კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის მაღალ მიზნებს.

ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ ამხანაგ ნეტოს, ანგოლის დელეგაციის უველა წევრის ჯანმრთელობისა და წარმატებების სადღეგრძელო.

წარმატებას ვუსურვებ თქვენს ქვეყანას, თქვენს პარტიას, ამხანაგებო!

ჩვენი ხალხების მეგობრობას გაუმარჯოს!

* * *

სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ა. ა. ნეტომ.

ამხანაგ ა. ა. ნეტოს სიტყვა

ამხანაგო გენერალურო მდივანო!

ამხანაგო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეო!

ამხანაგო საბჭოთა კავშირის მთავრობის წევრებო!

ამხანაგებო!

დიდი პატივია ანგოლის დელეგაციისა და პირადად ჩემთვის — ეწვეოდით საბჭოთა კავშირს და უშუალოდ გეგეგრნნო აქ საბჭოთა ხალხისა და მისი უმაღლესი წარმომადგენლების მეგობრული და ძმური დამოკიდებულება.

ჩვენ უდიდესი პატივი დაგვდეს, ვიხილეთ ეიცით საბჭოთა კავშირის ხალხის რევოლუციური ისტორიის სიდიადე და მისი გაკლენა კაცობრიობის ისტორიაზე, მისი წვლილი კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის სოციალიზმის გზით განვითარებაში, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების პოზიციების განმტკიცების საქმეში, სხვადასხვა კონტინენტის დამონებულ ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

მეტად მობარული ვართ მივეალმოთ საბჭოთა ხალხს მისი წარმომადგენლების — კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის წევრების სახით, რომლებსაც ვუცხადებთ ძმურ გრძნობებსა და ინტერნაციონალურ სოლიდარობას. ვეოგრაფიული თვალსაზრისით ჩვენი ქვეყნები შორს არიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია, რომ მათ შორის დამყარებულიყო რევოლუციური კავშირი განმათავისუფლებელი ბრძოლის განგრძობისათვის, ჩვენი ხალხების იდეალების რევოლუციური ხორცშესხმისათვის და ჩვენს პლანეტაზე სოციალიზმის მშენებლობისა და მშვიდობის განმტკიცების საქმეში ნამდვილი სოლიდარობის დამყარებისათვის.

ანგოლელი ხალხისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის სახელით ვასურვებ ფრიად სასიამოვნო მისიას — გამოვხატავ აქ საბჭოთა ხალხისა-

(დასასრული მე-2 გვ.)

7 ოქტომბერს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ანგოლის მოლაპარაკება.
სურათზე: მოლაპარაკების დროს.

ბ. მუსაელიანისა და ვ. მასტიუკოვის ფოტო (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლ. ი. ბრეჟნევისა და ანტონიო აგოსტინიო ნეტოს მეგობრული შეხვედრა

8 ოქტომბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარესთან, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტთან ა. ნეტოსთან.

ამხანაგებმა ა. ნეტომ ილაპარაკა ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ, ანგოლელი ხალხის იმ მეცადინეობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კოლონიური წარსულის მემკვიდრეობისა და უცხოელთა სამხედრო ინტერვენციის შედეგად გამოწვეული ნგრევის ლიკვიდაციას, პროგრესულ სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნათა განხორციელებას.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა, რომ საბჭოთა ხალხი ძმურ სოლიდარობას უცხადებს ანგოლელ ხალხს, რომელიც იბრძვის ქვეყნის დამოუკიდებლობის დამკვიდრებისა და სოციალური პროგრესის გზით მისი განვითარებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნეტომ აღნიშნეს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის შეხვედრებანი ერთმანეთის ემთხვევა საერთაშორისო პოლიტიკის ძირითად საკითხებში, ხაზგასმით აღნიშნეს, თუ რა ისტორიული მნიშვნელობა აქვს მსოფლიო სოციალიზმისა და ეროვნული განთავისუფლების ძალების თანამშრომლობას მშვიდობისა და ხალხთა უშიშროების განმტკიცების, კოლონიალიზმისა და ეროვნული ჩაგვრის საბოლოო ლიკვიდაციის საქმეში.

ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა და ა. ნეტომ დიდი ყურადღება დაუთმეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ურთიერთობისა და კონტაქტების შემდგომი განმტკიცებისა და გაფართოების საკითხებს.

შეხვედრამ მეგობრობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ანგოლის მოლაპარაკება

8 ოქტომბერს კრემლში დამთავრდა საბჭოთა კავშირ-ანგოლის მოლაპარაკება.

მოლაპარაკებას აწარმოებდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი.

ანგოლის მხრივ — ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარე, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონიო აგოსტინიო ნეტო, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. ე. დოშ სანტუში, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პოლიტბიუროს წევრი, ეკონომიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის მინისტრი კ. რომა, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის პოლიტბიუროს წევრი ანგოლის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ჟ. ლ. ნეტო.

მხარეებმა „ბაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ წარმატებით გაანხილეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის ურთიერთობის შემდგომი განვითარების საკითხები, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო ხასიათის პრობლემები.

მხარეები შეთანხმდნენ დადგნ სსრ კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, აგრეთვე ხელი მოაწერონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თანამშრომლობის შეთანხმებას. მოლაპარაკების შედეგების შესაბამისად, ხელს მოაწერენ საბჭოთა კავშირ-ანგოლის ერთობლივ განცხადებას.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ტიხონოვი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ს. ა. სკაჩკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ი. ბლატოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. ფ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ანგოლის სახალხო რესპუბლიკაში ბ. ს. ვორობიოვი, აგრეთვე ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის წევრები ე. ჟ. ეშკორ სიუ, ე. სანტუში, ს. ნ.-კოტა, კომუნიკაციების სახელმწიფო მდივანი ბ. რიბეირუ, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო მდივანი კ. ფერნანდეში.

მოლაპარაკებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს

8 ოქტომბერს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ანგოლის დოკუმენტებს.

ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახელით ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნეტომ.

შემდეგ ხელი მოაწერეს შეთანხმებას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თანამშრომლობის შესახებ.

შეთანხმებას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის სახელით ა. ნეტომ.

ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-ანგოლის განცხადება, მას ხელი მოაწერეს: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით ლ. ი. ბრეჟნევმა, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახელით ა. ნეტომ.

დოკუმენტების ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ამხანაგები ი. ვ. ანდროპოვი, ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, თ. დ. კულაკოვი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. პელშე, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, დ. თ. უსტინოვი, ბ. ნ. პონომარიოვი, მ. ს. სოლომენცევი, ი. ვ. კაპიტონოვი, ვ. ი. დოლგ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

ტექსტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკამ, რომლებსაც

მიიჩნიათ, რომ ანგოლის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად მათ შორის დამყარებული მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს ემსახურება,

აღფრთოვანებს იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის ყველა ფორმის და გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის იდეალები და უცვლელი მისწრაფება — ყოველნაირად დაუჭირონ მხარი თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის მებრძოლ ხალხებს,

მტკიცედ აქვთ გადწყვეტილი ხელი შეუწყონ საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებას ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, აღასტურებენ თავიანთ ერთგულებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპებისადმი,

იღვწიან მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში ყველა პროგრესული ძალების განაკრთიანებლად და მიიჩნიათ, რომ სოციალიზმის ქვეყნებისა და განვითარებადს სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობის და ფართო თანამშრომლობის განვითარება მათს საერთო ინტერესებს შეესაბამება,

ითვალისწინებენ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობისა და თანამშრომლობის 1976 წლის 26 მაისის დეკლარაციას და ამოძრავებენ მისწრაფება განამტკიცონ ორი სახელმწიფოსა და ხალხების მეგობრობისა და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის არსებული ურთიერთობა,

გადაწყვეტენ დადონ ეს ხელშეკრულება მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ და შეთანხმდნენ შემდეგზე,

მუხლი 1

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ მათს ქვეყნებსა და ხალხებს ექნებათ ყოველგვარი მეგობრობა და განავითარებენ ყოველმხრივ თანამშრომლობას პოლიტიკურ, ეკონომიურ, სავაჭრო, მეცნიერულ-ტექნიკურ, კულტურულ და სხვა დარგებში ერთმანეთის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.

მუხლი 2

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ ისინი მჭიდროდ დს ყოველმხრივ ითანამშრომლებენ, რათა უზრუნველყონ საიმისო პირობები, რომ შეინარჩუნონ და კიდევ უფრო განავითარონ მათი ხალხების სოციალურ-ეკონომიური მონაპოვარნი და პატივი სცენ ერთმანეთის სუვერენიტეტს მთელი მათი ბუნებრივი რესურსებისადმი.

მუხლი 3

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი პატივს სცემს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელიც საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

ანგოლის სახალხო რესპუბლიკა პატივს სცემს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი ახორციელებს, როგორც სოციალისტური სახელმწიფო.

მუხლი 4

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც იღვაწებენ იმისათვის, რომ მშვიდობა იყოს მთელ მსოფლიოში, გაღრმავდეს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პროცესი და ხორცი შეესხას მას სახელმწიფოთა ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის კონკრეტული ფორმებით,

მოგვარდეს საერთაშორისო პრობლემები მშვიდობიანი საშუალებებით, დაიღოს მსოფლიო ხელშეკრულება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ და მიღწეულ იქნას საყოველთაო და სრული. კერძოდ ატომური, განიარაღება ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლით.

მუხლი 5

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები კვლავაც აწარმოებენ განუხრელ ბრძოლას იმპერიალიზმის ძალების წინააღმდეგ, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის. რასიზმისა და აპარტეიდის სახელო ლიკვიდაციისათვის, იღვაწებენ, რათა სრულად განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებთან ხალხთა სუვერენიტეტის, თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სოციალური პროგრესისათვის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად.

მუხლი 6

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც ღრმა ინტერესს იჩენენ საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისადმი და დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ თავიანთ თანამშრომლობას საერთაშორისო სპარეზზე ამ მიზნების მისაღწევად, რეგულარულად გაუზიარებენ ერთმანეთს აზრებს დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე, აგრეთვე ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე.

ასეთი კონსულტაციებისა და აზრთა გაზიარების საგანი იქნება:

— საერთაშორისო საკითხები, მათ შორის მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში დაძაბულობის გამოძწვევი სიტუაციები, — იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყონ დაძაბულობის შენელებას, თანამშრომლობის გაგანვითარებას და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცებას;

საკითხები, რომლებსაც განიხილავენ მრავალმხრივ მოლაპარაკებაზე, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებში და საერთაშორისო კონფერენციებზე განსახილველი საკითხები;

— პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ხასიათის საკითხები და ორი ქვეყნის ურთიერთობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

ასეთი კონსულტაციები და აზრთა გაზიარება იწარმოებს სხვადასხვა დონეზე, მათ შორის მხარეების ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეთა შეხვედრების გზით, ოფიციალური დელეგაციებისა და სპეციალური წარმომადგენლების ვიზიტების დროს, აგრეთვე დიპლომატიური არხების მეშვეობით.

მუხლი 7

ისეთ სიტუაციათა შემთხვევაში, რომლებიც საფრთხეს უქმნიან მშვიდობას ან არღვევენ მშვიდობას, მაღალი ხელშემკვრელი მხარეები დაუყოვნებლივ დაამყარებენ ერთმანეთთან კონტაქტს, რათა შეათანხმონ თავიანთი პოზიციები შექმნილი საფრთხის აღკვეთის ან მშვიდობის აღდგენის ინტერესებისათვის.

მუხლი 8

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიურ, ტექნიკურ და შეცნიერულ თანამშრომლობას, კვლავაც გააფართოებენ და გააღრმავებენ ასეთ თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას მრეწველობაში, ტრანსპორტზე, მიწათმოქმედებაში, მეცხოველეობაში, თევზჭერაში. ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციაში, ენერგეტიკის, კავშირგაბმულობის, კომუნიკაციების განვითარებაში, ეროვნული კადრების, აგრეთვე ეკონომიკის სხვა დარგებში.

მხარეები გააფართოებენ ვაჭრობასა და ზღვაოსნობის თანასწორობის, ურთიერთსარგებლობისა და უმეტესი ხელშეწყობი პრინციპების საფუძველზე.

მუხლი 9

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ხელს შეუწყობენ ერთმანეთთან ურთიერთკავშირისა და თანაშრომლობის შემდგომ განვითარებას მეცნიერების, ხელოვნების. ლიტერატურის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, პრესის, რადიოს, კინოს, ტელევიზიის, ტურიზმის, სპორტის და სხვა დარგებში.

მხარეები ხელს შეუწყობენ თანამშრომლობისა და უშუალო კავშირურთიერთობის გაფართოებას პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, საწარმოებს, კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის, რათა უფრო ღრმად გააცნონ ერთმანეთს ორივე ქვეყნის ხალხთა ცხოვრება, შრომა და მიღწევები.

მუხლი 10

მაღალი ხელშემკვრელი მხარეების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების ინტერესებისათვის ისინი კვლავაც განავითარებენ თანამშრომლობას სამხედრო დარგში მათ შორის დადებულ შესაბამის შეთანხმებათა საფუძველზე.

მუხლი 11

თვითეული მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ არ შეავიწროებენ ან მონაწილეობას არ მიიღებენ ნებისმიერ ბოიკოტში, ეკონომიურ დაჭერაში ან ფინანსურ ოპერაციებში, აგრეთვე, მოქმედებისა თუ ღონისძიებებში, რომლებიც მიმართული იქნება მეორე მაღალი ხელშემკვრელი მხარის წინააღმდეგ.

მუხლი 12

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები აცხადებენ, რომ მოქმედი საერთაშორისო ხელშეკრულებებით მათი ვალდებულებანი არ ეწინააღმდეგება ამ ხელშეკრულების დებულებებს და კისრულობენ ვალდებულებას არ დადონ რაიმე საერთაშორისო შეთანხმებანი, რომლებიც შეუთავსებელი იქნება ამ ხელშეკრულებასთან.

მუხლი 13

ნებისმიერი საკითხები, რომლებიც შეიძლება მაღალ ხელშემკვრელ მხარეთა შორის წარმოიშვას ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების განმარტების ან გამოყენების თაობაზე, გადაიჭრება ორმხრივი წესით მეგობრობის, ერთმანეთის პატივისცემისა და ურთიერთგაგების სულისკვეთებით.

მუხლი 14

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს ოცი წლის განმავლობაში მისი ძალაში შესვლის დღიდან.

თუ ორივენ ან ერთ-ერთ ამ ორივე ერთი წლით ადრე არც ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე არ გამოთქვამს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის სურვილს, იგი ძალაში დარჩება მომდევნო 5 წლის განმავლობაში და ასე გაგრძელდება, სანამ ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარე მიმდინარე ხუთწლეულის გასვლამდე ერთი წლით ადრე წერილობით არ გააფრთხილებს მეორე მხარეს, რომ განუხრახუნლი აქვს შეწყვიტოს მისი მოქმედება.

მუხლი 15

ეს ხელშეკრულება რატიფიცირებულ უნდა იქნას და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის დღეს, რაც მოხდება ქალაქ ლუანდაში.

ეს ხელშეკრულება შედგენილია ორ ცალად თვითეული რუსულ და პორტუგალიურ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

დადებულია მოსკოვში 1976 წლის 8 ოქტომბერს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით

ლ. ბრეჟნევი

ანგოლის სახალხო რესპუბლიკის სახელით

ა. ნეტო

გულითად ვითარებაში

(დასასრული)

დმი ანგოლელი ხალხის ნდობისა და დიდი მეგობრობის გრძნობებს. აგრეთვე სკკპ ცენტრალურ კომიტეტს უნდა გადავცე ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის ცენტრალური კომიტეტის რევოლუციური სალამი. უკვე მრავალი წელია ვხედავთ, როგორ მტკიცდება და სულ უფრო მჭიდრო ხდება ჩვენი პარტიების ძმური ურთიერთობა.

ეს ხდებოდა იმ პერიოდშიც, როცა ჩვენ ჯერ კიდევ ვიბრძოდით დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, როცა ანგოლელი პარტიზანები იძულებული იყვნენ ასობით კილომეტრი ევლოთ შშობლიურ მიწაზე, როცა პირისპირ ხვდებოდნენ კოლონიზატორთა ჯარებს ან გაიცალა ამჯობინებდნენ ხოლმე, როცა, ჩვენს ხალხს საკმარისი საშუალება არ ქონდა, მაგრამ მაინც ზედიზედ მუსრავდა კოლონიური მტრის სამხედრო, ადმინისტრაციულ და ფსიქოლოგიურ ციხე-სიმაგრეებს, როცა მტაცდებოდა ანგოლელი ხალხის წინააღმდეგობის ბაზები.

ეს კიდევ უფრო მეტად გამოჩნდა 1975 წლის 11 ნოემბრის შემდეგ, როცა დაიწყო ახალი მარში ეროვნული რეკონსტრუქციის გზით, რომელზეც ეკონომიური სტრუქტურის შექმნა ერთ-ერთი ყველაზე მთავარი ეტაპი გახდა.

საბჭოთა კავშირის დახმარებამ უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ჩვენს ისტორიულ განვითარებაში, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და რეკონსტრუქციის მიღწევის საქმეში. სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან საბჭოთა კავშირი, რომელიც სამართლიანად დგას ხალხთა ისტორიული განვითარების ავანგარდში, კომუნიზმს აშენებს, განვლო რა რევოლუციური გზა, რომელსაც მოჰყვა ექსპლოატატორული საზოგადოებიდან სოციალიზმზე გადასვლა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გაჩენა, ხალხებმა, რომლებმაც ახლადა შეძლეს დამდგარიყვნენ სოციალიზმის აშენების გზაზე, არ შეიძლება არ აღიარონ ულადმერ ილიას-ძე ლენინის უდიდესი როლი, რომლის მოძღვრება დღეს შთაგონებს ყველას, ვისაც სურს მარქსისა და ენგელსის შრომები შესაბამის სოციალურ-გეოგრაფიულ რაიონებს მიუსადაგოს და ხორცი შეასხას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ პროცესების დაცაში, რომლებიც ყველაზე შეტად შეესაბამებიან საბჭოთა ხალხისა და მსოფლიოს სხვა ხალხთა ინტერესებს, გადაჭრით უკუაგდო შოვინიზმი და ეგოცენტრიზმი, იბრძვის იმპერიალიზმისა და ერთი ხალხის მიერ მეორის ექსპლოატაციის წინააღმდეგ, განუხრელად ახორციელებს ინტერნაციონალისტური სოლიდარობის პოლიტიკას. ანგოლის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ცხადყოფენ სსრ კავშირის ამ პოლიტიკას როგორც პირველი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ომის დროს პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ, პორტუგალიელთა და მათი მოკავშირეთა კოლონიური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, ისე იმპერიალიზმის იმ აგენტების წინააღმდეგ მეორე ომის დროსაც, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ მეზობელი ქვეყნები, სამხრეთ აფრიკა და შინაური მარიონეტები. ამ მწვავე ისტორიულ მომენტებში ანგოლელი ხალხი გრძნობდა საბჭოთა ხალხის საბრძოლო სოლიდარობას, რომელიც თავისი მატერიალური რესურსებიდან გამოჰყოფდა ანგოლელი ხალხის განთავისუფლებისათვის საჭირო საშუალებებს, სამხედროელო, სასოფლო-სამეურნეო საქონელი და ტექნიკური დახმარება დროზე ეგზავნებოდა ანგოლელ ხალხს, რათა დახმარებოდნენ მას შეემუსრა ისტორიულად განწირული ძალები, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ბატონობა შეინარჩუნონ ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენ აგრეთვე მადლიერი ვართ კუბელი ხალხისა, რომელმაც საჭირო მომენტში ათასობით თავისი საუკეთესო შვილი გამოგვიგზავნა და დაეხმარა ანგოლელ ხალხს მტერზე გამარჯვებაში. კუბისა და ანგოლის ხალხებს აკავშირებს ისტორიული და ეთნიკური ერთიანობა. კუბელი ხალხი — ეს არის ხალხი, რომლისთვისაც ბუნებრივად დამახასიათებელია ინტერნაციონალიზმის რევოლუციური გრძნობა, განვითარების სოციალისტური გზა ანგოლის, კუბისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ბედს, განვითარების სხვადასხვა დონის მიუხედავად, გაერთიანებს ისე, როგორც ეს სოციალისტურ ქვეყნებს უწერიათ.

მადლიერი ვართ აფრიკის, ევროპისა და აზიის პროგრესული ქვეყნებისა, რომლებმაც ძალონი არ დაიშურეს, რათა თავიანთი წვლილი შეეტანათ ჩვენი დამოუკიდებლობის მიღწევაში.

დღეს ანგოლა — ეს არის სამხრეთ აფრიკაში მდებარე ვრცელი ქვეყანა, რომელსაც სურს სოციალიზმი ააშენოს. ეს განმსაზღვრელი არჩევანი ანგოლელმა ხალხმა ჯერ კიდევ მაშინ გააკეთა, როცა იმპერიალიზმის აგენტები განაგრძობდნენ ქვეყნის ცალკეული რაიონების ოკუპაციას, როცა ჩვენი მებრძოლების კოლონები ჯერ კიდევ ებრძოდნენ შეტევაზე გადმოსულ მტერს.

ჩვენ, როგორც ხალხს, გვეამაყება, რომ შეგვიძლია, რომ ვეკუთვნოდეთ დიდ სოციალისტურ ოჯახს, რომელმაც ისტორიის გადაწყვეტ მომენტებში შეძლო შეენარჩუნებინა თავისი დარაზმულობა და თავისი დინამიზმი.

ანგოლელმა ხალხმა მუშათა კლასის იდეოლოგიის ბაზაზე გრძელი გზა უნდა განვლოს, სანამ მიაღწევს ეკონომიურ და სოციალურ თანასწორობას და შექმნის პოლიტიკურ საფუძველს.

ქალაქ ლუანდაში სახალხო ხელისუფლების ორგანიზაცია — ეს ის გამოცდილებაა, რომელიც ადასტურებს ხალხის რევოლუციურ და ორგანიზებულ სიცოცხლისუნარიანობას. მაგრამ სავსებით ცხადია, რომ რეკონსტრუქციის ეტაპის გაფლა არ შეიძლება, თუ არ, შეიცვალა სოციალური სტრუქტურები, რომლებზეც დამოკიდებულია წარმოებითი ურთიერთობა.

ამრიგად, ქვეყანაში წარმოების იმ ხერხების თანაარსებობა, რომლებიც კერძო ფორმებიდან სახელმწიფომდე ვითარდება, შესანიშნავი პროგრესია კოლონიური ექსპლოატაციის სისტემასთან შედარებით. წინათ, კოლონიალიზმის დროს, შეეძლებელი იყო დღევანდელი კოოპერაციული მოძრაობის ორგანიზაცია.

ანგოლი მდებარეობს სამხრეთ აფრიკის გეოგრაფიულ ზონაში და იმპერიალიზმი სწორედ აქ ცდილობს არ დაუშვას ხალხთა დამოუკიდებლობა და თავისუფლება. იგი აგრეთვე ცდილობს ხელი შეუშალოს აფრიკელ ხალხთა განვითარებას სამართლიანი სოციალური სისტემების დამყარების მიმართულებით.

ზიმბაბვეს, ნამიბიისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხალხები დღენიადაგ გრძნობენ შეიარაღებული კონფლიქტების სიმძიმეს, რომლებსაც პროვოკაციულად აწყობენ იმპერიალისტი კოლონიზატორები, პუტჩი რომ მოახდინეს სამხრეთ როდეზიაში, ან სამხრეთაფრიკელი რასისტები, რომლებსაც ღელვა ოკუპირებული აქვთ ნამიბია და ჩაგვავენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელ ხალხს.

იმპერიალიზმი სხვადასხვა მანევრს მიმართავს, რომ გატეხოს აფრიკელი ხალხების ნება და არ მიაღწევინოს იმ ეპოქის შესაბამისი სოციალური ეტაპები, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, გადაქცეონ მათი ტერიტორია ევრობისა და ამერიკის კაპიტალისტური სახელმწიფოების გაფლენის ჩვეულებრივ ზონებად. იმპერიალიზმი აგრეთვე ცდილობს გატეხოს მათი რევოლუციური სულისკვეთება და ჩაშალოს ხალხთა ბრძოლა, რომელიც მიზნად ისახავს ეშმარიტი თავისუფლების მოპოვებას.

ჩვენ ვერ დავივიწყებთ იმასაც, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას კვლავ ეხმარებიან მისი ამ გეგმების ხორცშესხმაში, რომ ხელი იგდოს სტრატეგიულად დიდმნიშვნელოვანი იარაღი — ატომური ბომბი.

ყოველივე ამას იმისათვის სჩადიან, რომ აფრიკის კონტინენტზე შეიქმნას რეაქციის კერა, რომელიც იმპერიალიზმის ბაზა იქნება. დამოუკიდებელ და სუვერენულ ქვეყნებზე ზეგავლენას უხამებენ იმპერიალისტურ მექანიკას. ამ პოლიტიკის ფარგლებში წარმოებს აშკარა და საფარში გამთიშველი საქმიანობა. სწორედ ასე უნდა განვიხილოთ იმპერიალიზმის გამოსვლები ბანტუსტანების შექმნა, რაც მიზნად ისახავს იმას, რომ ხელი შეუშალონ აფრიკელი ხალხების მოქმედების ერთიანობას.

კონტინენტზე გათიშვის სხვა ფაქტორია ის, რომ აფრიკის სხვადასხვა ქვეყნები კვლავ ნეოკოლონიზებული არიან. მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვართ, რომ სამხრეთ აფრიკის ხალხები, რომლებიც პოლიტიკური ბრძოლის გრძელ გზას დაადგნენ, შეძლებენ არ დაუშვან ნეოკოლონიალიზმი, რის თავს მოხვევასაც მათ უპირებენ.

აქ არ შეიძლება არ შეეეხოთ ჩინეთის მოქმედებას. ამ ქვეყანას სოციალისტრად მოიქცა თავი, ანგოლის მიმართ კი პირი შეერა იმპერიალიზმის ძალებთან რევოლუციის წინააღმდეგ საბრძოლველად. დღემდე ჩინეთის საქციელი აფრიკაში ეს არის მხოლოდ და მხოლოდ პათოლოგიური ანტისოვეტიზმი, სავსებით ცხადია, ხალხთა ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მუდმივი მოქმედება. მაგრამ ჩინეთის ჯერ კიდევ აქვს შესაძლებლობა ხელი აიღოს თავის ფსევდოსოციალისტურ პოლიტიკაზე, რომელიც იმპერიალიზმის ინტერესებს უკავშირდება, და გადავიდეს იმათ მხარეზე, ვინც იღვწის სოციალიზმისა და ხალხთა კეთილდღეობისათვის. დარწმუნებული ვართ, რომ ჩინელი ხალხი მოძებნის სწორ გზას.

ანგოლელ ხალხს, რომელსაც ხელმძღვანელობს თავისი რევოლუციური ავანგარდი — ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობა, ესმის, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ჩინელი ხალხი, რომელიც მდიდარია დიადი რევოლუციური ტრადიციებით, და ჯგუფი, რომელიც ახორციელებს ანტისაბჭოურ, ანტიანგოლურ კონტრრევოლუციურ კურსს და მოქმედებს თავისი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობასა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას, გულწრფელად სურთ განამტკიცონ ურთიერთობა სსრ კავშირთან და სოციალისტურ თანამეგობრობასთან და მთელ ძალებს მოახმარენ მშვიდობისათვის, განიარაღებისა და ყველა ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს.

ანგოლა ეკუთვნის მიუმხრობელი ქვეყნების ჯგუფს და ამიტომ არ აპირებს მეუერთდეს როგორიმე სამხედრო ბლოკს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ ავითარებს თავისუფალ თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან ყველა დარგში, როგორც ეს ხდება სსრ კავშირთან ურთიერთობაში,

ამხანაგებო!

ანგოლელი ხალხი ამაყობს, რომ იგი ერთი აფრიკელ ხალხთაგანია, რომელმაც განვითარების სოციალისტური გზა აირჩია. ეს ის ხალხია, რომელსაც არ შეუძლია არ განამტკიცოს თანამშრომლობა და მეგობრობა სსრ კავშირთან.

ანგოლელი ხალხი მტკიცედ იცავს მშობლიურ ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გზით, ამასთან გაითვალისწინებს მისი საშინაო და საერთაშორისო მდგომარეობიდან გამომდინარე თავისებურებებს, და ჩვენ ამ ძირითადი გზის გათვალისწინებით განუხრელად ვიცვლთ არეული გზით და ქვეყანას მოვუპოვებთ დამოუკიდებლობას, რომლის საფუძველი იქნება ხალხის თავისუფლება, შესაძლებლობა — მთლიანად ახმარდე ძალებს პროგრესისა და ინტერნაციონალიზმის საქმეს, ასრულებდე ინტერნაციონალურ მოვალეობას.

ბრძოლა გრძელდება!

გამარჯვება გარდუვალია!

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, ვადღეგრძელო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მისი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს! გაუმარჯოს ჩვენი ხალხების მეგობრობის კონსოლიდაციისა და განმტკიცებას!

* * *

ამხანაგების ლ. ი. ბრეჟნევისა და ა. ა. ნეტოს სიტყვებს დიდი ყურადღებით უსმენდნენ და ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

სადილმა გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

მეგობართა პატივსაცემად

ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის თავმჯდომარემ, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ამხანაგმა ანტონიო აგოსტინიო ნეტომ 8 ოქტომბერს საუზმე გამართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პატივსაცემად.

საუზმეზე იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ანგოლის მხრივ იყვნენ პარტიულ-სახელმწიფო დელეგაციის წევრები.

საუზმის დროს, რომელშიც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ა. ა. ნეტომ და ნ. ვ. პოდგორნიმ მეგობრული სადღეგრძელოები წარმოთქვეს. (საკდესი).

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლის დაწესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაწესდეს მედალი „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“.
2. დამტკიცდეს „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლის დებულება.
3. დამტკიცდეს „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლის აღწერილობა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1976 წ. 8 ოქტომბერი.

„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლის დებულება

1. „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლით დაჯილდოვდებიან ბაიკალ-ამურის რკინგზის მაგისტრალის, ბამ-ტინდა-ბერკაკიტის რკინგზის ხაზის, ტალეტ-ლენის რკინგზის ხაზის მეორე ლაინდგილ, საწარმოო ბაზისა და საბინაო-სამოქალაქო დანიშნულების ობიექტების მშენებლობის აქტიური მონაწილენი, რომლებიც კარგად მუშაობენ მშენებლობაზე, მაღალხარისხოვნად ასრულებენ საპროექტო-საძიებო სამუშაოებს, კეთილსინდისიერად შრომობენ უშუალოდ მშენებლობისა და მშენებლების მომსახურე საწარმოებში, დაწესებულებსა და ორგანიზაციებში.

მედლით, როგორც წესი, დაჯილდოვდებიან მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, რომლებმაც მშენებლობაზე და მისი მომსახურების დარგში სულ ცოტა სამ წელიწადს იმუშავეს.

2. „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედალს დაჯილდოვდებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხვილით გადასცემს რუსეთის სსფრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

3. „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლით დაჯილდოვდების შესახებ შუამდგომლობას აღძრავენ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ადმინისტრაცია, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები და უგზავნიან სატრანსპორტო მშენებლობის საწარმო-ორგანიზაციებისა და სამშენებლო რაზმების მუშაკებზე — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკური და ადგილობრივი ადგილმდებარეობის საწარმო-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მუშაკებზე — შესაბამისად ამერის, ირკუტსკის, ჩიტის მმრომელთა დეპუტატების საოლქო, ხაბაროვსკის სამხარეო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ბურიატეთის, იაკუტეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს. რომლებიც მიღებულ შუამდგომლობათა განხილვის შემდეგ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანენ წარდგინებას მედლით დაჯილდოების შესახებ.

4. „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედალი დაჯილდოებულმა უნდა ატაროს მკერდის მარცხენა მხარეს და გააკეთოს „ყამრი მიწების ათვისებისათვის“ მედლის შემდეგ.

5. „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედალი, დაჯილდოებულის გარდაცვალების შემდეგ მის ოჯახში რჩება და სამახსოვროდ ინახება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედლის აღწერილობა

მედალი „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“.

ხაკდესის ფოტოქრონიკა.

„ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“ მედალი თითბრისაგან მზადდება და 32 მმ დიამეტრის წრეხაზის ფორმა აქვს.

მედლის წინა მხარეს პროფილითაა გამოსახული მშენებლების — ქალისა და მამაკაცის სახე გორაკებისა და მდინარეზე გადებულ ხიდზე მიმავალი რკინიგზის შემადგენლობის ფონზე. ქვემოთ, მარცხნივ, წარწერაა — „ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისათვის“.

მედლის უკანა მხარეზე გამოსახულია მზე და შორს მიმავალი რკინიგზის ვაკისი, რომელსაც გასდევს ლენტი წარწერით „ბამ“ და შემოვლებული აქვს დაფნის შტოების არშია. მედლის ზედა ნაწილში გამოსახულია ნამგალი და ურო.

მედალზე ყველა წარწერა და გამოსახულება ამობურცულია.

მედალს არშიად გასდევს ქიმი.

მედალი ყურწეროა და რგოლით შეერთებულია . ხუთკუთხედთან, რომელსაც ეადაკრული აქვს აბრეშუმის მუარის ლენტი. ამ ლენტს, რომლის სიგანეა 24 მმ, კიდეებზე გასდევს 6 მმ სიგანის მუქი მწვანე ზოლები და შუაში გავლებული აქვს 3 მმ სიგანის სამი ღია ყვითელი გასწვრივი ზოლი. ღია ყვითელი ზოლები გაყოფილია რუხი ფერის გასწვრივი ზოლებით. ლენტს კიდეზე ქარგად გასდევს ვიწრო ღია მწვანე ზოლები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობისა და თანამშრომლობის

ხელშეკრულება

ტექსტი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირმა და ანგოლის სახალხო რესპუბლიკამ, რომლებსაც

მიიჩნიათ, რომ ანგოლის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის შედეგად მათ შორის დამყარებული მეგობრობისა და ყოველმხრივი თანამშრომლობის ურთიერთობის შემდგომი განვითარება და განმტკიცება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ ეროვნულ ინტერესებს შეესაბამება და მთელი მსოფლიოს მშვიდობ

1876

ეროვნული მეცნიერების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი

ივანე ჯავახიშვილმა, რომლის დაბადების 100-ე წლისთავს ასეთი დიდი პატივისცემით აღნიშნავს მთელი ჩვენი საზოგადოება, წარუშლელი კვალი დატოვა ქართული საისტორიო მეცნიერების განვითარებაში. იგი ახალი ეტაპის შემქმნელია ხანგრძლივი ისტორიისა და მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ ისტორიოგრაფიაში. წყაროებისადმი მკაცრი მეცნიერული მიდგომის, ისტორიის მთელი მრავალფეროვანი მასალის (წერილობითი ძეგლები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალა, ენობრივი მონაცემები) ღრმა ანალიზისა და კვლევა-ძიებაში მსოფლიო საისტორიო მეცნიერების ყველა მიღწევის გამოყენებით ივანე ჯავახიშვილის ხელში ქართული საისტორიო მეცნიერება ერობაშად ავიდა იმდროინდელი მსოფლიო მეცნიერების დონეზე.

ივ. ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა საქართველოს ისტორიის ფართო ისტორიულ ფონზე შესწავლის აუცილებლობას. ქართველი ხალხის მიერ განვლილი ისტორიული გზა მრავალმხრივ უკავშირდება სხვა ხალხების ისტორიას და ამ უკანასკნელის ცოდნის გარეშე სათანადოდ ვერ გაიგება. იგი სამართლიანად დიდ მნიშვნელობას მიაწერდა საქართველოს შესახებ არსებულ მრავალრიცხოვანი უცხოური წყაროების საფუძვლიან ცოდნას და თვით ამ მხრივ საუკეთესო მაგალითს იძლეოდა. საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლისას ივ. ჯავახიშვილი ხშირად სცილდებოდა კიდეც საკუთრივ ქართველოლოგიური კვლევა-ძიების მოთხოვნილებებს და დამთუკიდებელ ნაშრომებს ქმნიდა სხვა ხალხების ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის დარგში.

ღვაწლმოსილი ისტორიკოსი

ივ. ჯავახიშვილის ზრუნვა საქართველოს ისტორიის მასალების წრის გაფართოებაზე კარგად ჩანს მატერიალური კულტურის ისტორიის დარგში მის მიერ წარმოებული მუშაობის მაგალითზეც. ქართული მატერიალური კულტურის ისტორიით იგი ადრიდანვე იყო დაინტერესებული და უკვე რვაოლუციამდელ ხანაში ამ რიგის საკითხებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ნაშრომი გამოაქვეყნა კიდეც. შემდგომიც განუწყვეტლივ აწარმოებდა ამ დარგში კვლევა-ძიებას, თუმცა მისმა ამ ნამუშაკევმა მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ იხილა დღის სინათლე — გამოიცა რამდენიმე ტომი ნაშრომისა „მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის".

ასევე ცნობილია ივ. ჯავახიშვილის ზრუნვა საქართველოში არქეოლოგიური სამუშაოების გამართვაზე. იგი იყო 30-იან წლებში მცხეთაში, დმანისში, გეგუთში და ბოლნისში წარმოებული არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი და მეცნიერი-კონსულტანტი.

ივ. ჯავახიშვილი კარგად გრძნობდა საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლის — ეკონომიკის შესწავლის დიდ მნიშვნელობას. მისი ნაშრომი „საქართველოს ეკონომიური ისტორია" შეიცავს უძველესს მასალას ძველ საქართველოში ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, კერძოდ სოფლის მეურნეობის შესასწავლად, ფაქიზ ტერმინოლოგიურ ანალიზს, გონებამახვილ დასკვნებს ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმომავლობისა და გავრცელების გზების შესახებ.

ძველი საქართველოს ეკონომიკის, კერძოდ სოფლის მეურნეობის შესწავლაც ივ. ჯავახიშვილს საქართველოს ისტორიის გასამქებლად სჭირებოდა. შემთხვევითი არ იყო, რომ იგი ასე უქებდა ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ისტორიისადმი აბლებურ მიდგომას, როდესაც ეს უკანასკნელი ქართველი ხალხის ისტორიაში უმთავრესი მნიშვნელობის საკითხად მიიჩნევდა იმას, თუ „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა კეკლამ თვითონ იხილა. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ქართულმა საბჭოთა საისტორიო მეცნიერებამ არაერთ ახალ წარმატებას მიაღწია. საისტორიო კვლევა-ძიება, კერძოდ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ისტორიოსების სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის სახით მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის დანერგვამ. საქართველოს ძველი და ფეოდალური ხანის ისტორიის სფეროში ეს მისია შეასრულეს გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსებმა — ივ. ჯავახიშვილის ნიჭიერმა მოწაფეებმა სიმონ ჯანაშიამ და ნიკოლოზ ბერძენიშვილმა.**

ქართველმა ისტორიკოსებმა შექმნეს არაერთი დიდი განმაზოგადებელი ნაშრომი, მათ შორის რვატომიანი „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", რომელიც საქართველოს მეცნიერულად გამართული ისტორიის პირველ სრულ (უძველესი დროიდან დღემდე მოტანილ) მრავალტომიან გამოცემას წარმოადგენს. შეიქმნა უმაღლესი და საშუალო სკოლის არაერთი სახელმძღვანელო, მათ შორის არის ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით 30-იანი წლების პოლოსა და 40-იანი წლების დასაწყისში შედგენილი საქართველოს ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელო, რომელმაც დიდი პოპულარობა მოიპოვა და მთავრობის მაღალი ჯილდოთი — სახელმწიფო პრემიითაც აღინიშნა.

რაც დრო გავა, ჩვენი მეცნიერება, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ წარმატებებს მოიპოვებს, კიდევ უფრო წინ წავა. მაგრამ ქართული საისტორიო მეცნიერების, საერთოდ ქართული მეცნიერებისა და კულტურის ისტორიაში უკვდავი იქნება ივანე ჯავახიშვილის სახელი, რომელმაც ყველაზე მძიმე სამუშაო შეასრულა — ნიადაგი შეუმზადა ქართული მეცნიერების ამ აღორძინებასა და აღმავლობას.

გ. მელიქიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ჯოლუპოვარი

ქართულ ისტორიოგრაფიას თავიდანვე ბედმა გაუღიმა: ოღითვე ოავისი ღრონაცთვის ერთმანეთზე უკეთესი მემატანეები გამოვიდნენ საასპარეზოდ შობლეული და მეზობელი ქვეყნების წარსულის შესასწავლად. როგორი ნაკლიც არ უნდა ჰქონეზოდთ, ისინი იყვნენ უეჭველად განათვლებული პატრიოტები, მწიგნობრები, მწერლები, მოწინავე ადამიანები. მაგრამ ივანე ჯავახიშვილი სხვა იყო — ყველაზე დიდი, ყველაზე ტრლუპოვარი, ყველაზე შეუდარებელი!

ასე მრავალმხრივი, ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილი, ღრმად მოაზროვნე და უმდიდრესი ფაქტიური მასალის მქონე ისტორიკოსი საქართველოს მანამდე არ ყოფილა. ივანე ჯავახიშვილი ამ ნიშანსვეტებითაც სრულიად მარტოა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქქონდა მას, როგორც პიროვნებას, რაღაც განსაკუთრებული, მიმზიდველი, თითქოს შარავანდედი ედგა; მაგრამ ასევე განსაკუთრებული იყო, როგორც მეცნიერი-მოაზროვნე, ენციკლოპედისტი, რომლის წიგნებითაც სარგებლობდნენ და ყოველთვის ისარგებლებენ აზროვნების სულ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებ.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ივანე ჯავახიშვილმა ქართული ისტორიული წყაროები არაჩვეულებრივი სიუხვითა და ასევე არაჩვეულებრივი სისავსით გააანალიზა, ყველაფერს ერთ ფოკუსში მოუყარა თავი, შეიმუშავა საკუთარი კონცეფცია და მისი დროის ისტორიული მეცნიერების სიბრძნის მიუხედავად, საკვირველი მწყობრი მსოფლმხედველობით გადმოგვცა საქართველოს ისტორია მეზობელ ქვეყნებთან ურთიერთობის ასპექტებში.

სანმეშოდ დავასახელებთ ივანე ჯავახიშვილის კლასიკურ მონოგრაფიას — „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები", რომელმაც სპეციალურ როლი შეასრულა — ამ დროიდან ჩვენი მუსიკოლოგიის ისტორია ბტარეცედ დაეყრდნო მეცნიერულ საფუძვლებს. ჯავახიშვილმა ჯადაწყვეტა ქართული მუსიკის ისტორიის კარდინალური საკითხები, ამავე დროს, მოგვცა თვით ქართული მუსიკის შინაგანი არსების, მისი სასიცოცხლო, ფორმისა და შინაარსის საფუძვლიანი, ზუსტი ანალიზი.

ქართული ისტორიოგრაფიის დედაბოძის — ივანე ჯავახიშვილის სახელი მარადიულად დარჩება ქართველი ხალხის, ქართული კულტურის, ქართული მეცნიერების ისტორიაში, როგორც არასოდეს მიეცემიან დავიწყებას პრეგრესული კაცობრიობის უკვდავი შვილები, რომლებმაც ტიტანური შრომითა და ტალანტის ელვარებით თვით კაცობრიობა განადიდეს!

გ. ჯიბლაძე.
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტი.

ხალხის მეხსიერება

ივ. ჯავახიშვილი უაღრესად ფართო დიაპაზონის ისტორიკოსი იყო. მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიის ღრმა ცოდნამ მის წინაშე მაღლა ასწია მძიმე ფარდა, რაც ქართველი ხალხის თვითმყოფადური და სასიქადულო კულტურის დიდებულ ძეგლებსა და მიღწევებს ფარავდა, და საქეიფოდ გამოამზეურა და ააფრთიანა მამაპაპათა ნაამაგარი.

ივ. ჯავახიშვილის მიერ ქართველი ხალხის ისტორიის აღდგენა ნამდვილად იყო ერის გამოცოცხლება, რაც მისთვის უკეთესი მომავლის გზების დასახვას მოასწავებდა.

ი. ჯავახიშვილს კარგად ჰქონდა შეგნებული და გაარკვეული დიდებული ილია ჭავჭავაძის სიტყვები, რომ „აღდგენა ისტორიისა — ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამორკვევაა სიბნელისაგან".

ივანე ჯავახიშვილის მთელი მეცნიერული კვლევა-ძიება სწორედ ამითვენ იყო მიმართული, რომ აღედგინა საქართველოს ნამდვილი ისტორია, ეჩვენებინა მისი ბურუსით მოცული წარსული დიდება და ბრწყინვალება, რათა, ამგვარად, გამოცოცხლებულ ერს იმედიანად დაესახა თავისი ბედნიერი მომავლის პერსპექტივები.

ძნელად თუ შეიძლება კაცმა დაასახელოს ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის პრობლემა, უძველესი დროიდან მოყოლებული მე-19 საუკუნემდე, რომელსაც ივანე ჯავახიშვილი არ შეხებიდეს, რაც მის მადლიან კალამს ასე თუ ისე არ გაეშუქებინოს, რაზედაც ფუძემდებლური მონოგრაფიები არ დაეწეროს.

მაინც მისი მეცნიერული კვლევა-ძიების სადემარკაციო ხაზი მისი უმთავრესი თხზულების „ქართველი ერის ისტორიის" სამანებს მიჰყვება. თითქმის ყველა დანარჩენი მისი გამოკვლევების უმრავლესობა, რომელთა სახელწოდებების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა, ამ მთავარი პრობლემის გარშემო ლაგდება, მის შენაკადებს, მის განშტოებებს წარმოადგენს.

ივანე ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორიის პრობლემებს აშუქებდა და წარმოაჩენდა არა მხოლოდ როგორც სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიური განვითარების პროცესებს, არამედ ამასთანავე, იკვლევდა ქართული კულტურისა და საერთოდ ცივილიზაციის სოციოლოგიურ, ფილოსოფიურ, იდეოლოგიურ, მორალურ ასპექტებს. მაგრამ ივანე ჯავახიშვილს დიდი და რთული მუშაობა უნდა გაეწია ქართული ლექსიკონისა და კერძოდ მეცნიერული ტერმინოლოგიის შემუშავებისათვის.

ივ. ჯავახიშვილმა 1930-იანი წლების შუაში სავსებით ახალი თაოსნობა წამოიწყო და დიდი შრომა გასწია საქართველოში წვრილი მრეწველობის (სოჯახო მრეწველობის, შინამრეწველობის, ხელოსნობის, საერთოდ წვრილ სარეწავთა) ფორმებისა და სოფლის მეურნეობის (მეცხენაურეობისა და მეცხოველეობის) დარგების, ე. წ. რიგი უკვე გადავარდნამდე მისული სახეების (ნივთების, საგნების) წარმოების საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში აღწერის ორგანიზაციის სახით. იგი აღფრთოვანებული იყო ამ გზით მოპოვებულ ცნობათა სიუხვითა და შინაარსიანობით და ოცნებობდა მათი სისტემატიზაციისათვის, რაზედაც დიდხანს დაუღალავად იმუშავა კიდევაც, რათა მერმე ამ მდიდარი მასალის მეცნიერულ ანალიზსა და გაშუქებას შესდგომოდა, მაგრამ... არ დასცალდა.

მის მიერ შედგენილი გეგმის (პროგრამის) შესაბამისად თავმოყრილი (დგილებზე, 1935 წ. მიღებულებულ აღმწერთა მიერ აღნუსხული) ეს ფრიად ფასეული და დიდი მოცულობის (6000 გვ.) მასალა, რასაც უეჭველად პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის მატერიალური კულტურის (წარმოების ხასიათის, შრომის ორგანიზაციის, ნედლეულის შერჩევის, პროდუქციის ნაირსახეობათა, ნაკეთობის ხარისხისა და სხვ.) და სულიერი ცხოვრების (ენის, ტერმინოლოგიის, თქმულებათა) შესწავლისათვის, ამჟამად მზადდება გამოსაცემად.

ახლა აქ უპრიანია რამდენადმე უფრო დაწვრილებით შეეხეროდე ივ. ჯავახიშვილის იმ ნაშრომებზე, რომლებიც სპეციალურად ეძღვნება საქართველოს ეკონომიური ცხოვრების ისტორიას, ივ. ჯავახიშვილის კალამს ამ მხრივაც ფუძემდებლური გამოკვლევები ეკუთვნის, მაინც ყველაზე მთავარია „საქართველოს ეკონომიური ისტორია", რომლის ორი დიდტანიანი ტომი გამოქვეყნდა 1930 და 1934 წწ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თხზულების პირველი წიგნი პირველად დასტამბა ჯერ კიდევ 1907 წ.

როგორც ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობით ახალი პერიოდი იწყება საქართველოს ისტორიის შესწავლასა და საერთოდ მთელ ქართველოლოგიაში. ჭეშმარიტად ფართო იყო ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებითი შრომის დიაპაზონი, ასევე დიდი და დამსახურებული იყო მისი როგორც მეცნიერის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის რეზონანსიც.

ჯ. გუგუშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

ენათმეცნიერი

დიდმა მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილმა განუზომელი ამაგი დასდო ქართული ენათმეცნიერების განვითარებას. ფილოლოგიურ მეცნიერებაში ღრმად განსწავლული მკვლევარი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ისტორიული პროცესების გაშუქებისას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ენობრივი მონაცემების ანალიზს, რამდენადაც, მისივე კონცეფციით, ენაში მკაფიოდ ასახულია ხალხის თავგადასავალი და სოციალ-პოლიტიკური და კულტურული განვითარების საფეხურები. უმდიდრესი ქართული წერილობითი ძეგლების ღრმა შესწავლის შედეგად გამოვლინდა მრავალფეროვანი სიტყვობრივი ფონდი, რომელიც საფუძვლად დაედო ჩვენი დიდი მეცნიერის ფუნდამენტურ, ისტორიულ-ფილოლოგიურ გამოკვლევებს. ქართული ისტორიული ლექსიკის მასალაზეა აგებული ივანე ჯავახიშვილის ისეთი ცნობილი მონოგრაფიები, როგორიცაა „საქართველოს ეკონომიური ისტორია", „ქართული სამართლის ისტორია", „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია", „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები" და სხვა. ამგვარ ძიებებს განსაზღვრავს მეთოდოლოგიური პრინციპი — ენა როგორც ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყარო. აქედან გასაგებია, რომ ენათმეცნიერული პრობლემების განხილვა ნაკარნახევია ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

ძველი და შუა საუკუნეების ჩვენებური, რომაული, არაბული, სომხური, ქართული და სხვა წყაროების მიხედვით პარალელურად წარმოებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეთნოლოგიური პრობლემების კრიტიკულმა განხილვამ ივანე ჯავახიშვილს საშუალება მისცა ენათმეცნიერული გზით მოპოვებული დასკვნების სისწორე შეემოწმებინა და მრავალი ახალი დებულება დაესაბუთებინა.

ენათმეცნიერული ძიებები ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიული შესავლის" ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ამ შესავლის პირველ წიგნში განხილულია საქართველოს, ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები. ავტორისათვის იმითვითვე ცხადი გახდა, რომ მხოლოდ ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გაგამოყენებითა და ქართულ-ქართველურ ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია.

ივანე ჯავახიშვილის ენათმეცნიერულმა გამოკვლევებმა საგრძნობლად გააფართოვა ქართველური ენათმეცნიერების ჩარჩოები და საქართველოს ისტორიის მრავალი ბინდით მოცული საკითხი ენობრივი მონაცემების გამოყენებით გააშუქა.

შ. ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

გულის სიტყვა

პირველად 1938 წელს ჩატარდა საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს არჩევნები, საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი, ფარული კენჭისყრის საფუძველზე.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის ივანე ჯავახიშვილიც დასახელეს, ერის ამ ნამდვილი შვილის დასახელებას სიხარულით შეხვდნენ ყველგან საქართველოში, ხარობდა ყველაზე მეტად № 27 საარჩევნო ოლქი — სტუდენტთა საარჩევნო ოლქი. აქ ცხვედაძისეულ წმინდა შენობაში, იმ უნივერსიტეტში, რომელსაც სული ივანე ჯავახიშვილმა ჩაუდგა, სადაც მან სიხარულიცა და წყენაც ნახა, ახლა მას შეხვედრას უწყობენ.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გახსნა შეხვედრა. სიტყვა ნდობით აღვურვილ პირს ეძლევა. ესალმებიან დიასახლისები, სტუდენტები. ყველა გამომსვლელი აღტაცებით ლაპარაკობს ერის შვილის წარუხოცელ დაჟწლზე დედა-სამშობლოს წინაშე.

სიტყვას ამბობს საყოველთაო სიყვარულით გარემოცული დეპუტატობის კანდიდატი ივანე ჯავახიშვილი. აი მისი ნაწილი:

„ამხანაგო ამომრჩევლებო!

უდიდეს მადლობას მოგახსენებთ იმ განსაკუთრებული პატივისცემისა და ნდობისათვის, რომელიც გამოიხატა ჩემი უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებაში. ამასთან უნდა მოგახსენოთ, რომ მე ჩემს თავს უხერხულად ვგრძნობდი და ეხლაც უხერხულად ვგრძნობ, რადგან არ ვიცი შევძლებ თუ არა იმ დიდი მოვალეობის აღსრულებას, რომელიც აწევს ჩემს უმაღლესს საბჭოს დეპუტატებს. მე ეს გარემოება მაფიქრებს, იმიტომ, რომ ჩემი მთელი მოღვაწეობა დაკავშირებული იყო აკადემიურ ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. ეხლა კი საკანონმდებლო დაწესებულების წევრობა მომიხდება, თუ რომ თქვენი სურვილი გამართლდა და არჩეული ვიქნები და ეს სფერო უკვე გაცილებით უფრო პასუხსაგები სფერო არის და ამასთანავე ჩემთვის ჯერ კიდევ სრულებით ახალი, ვიდრე ის, რომელზედაც მე ორმოცი წლის განმავლობაში ვმუშაობდი..."

პასუხისმგებლობის უმაღლესი ბერძნული, რომაული, არაბული, ქართული და სხვა ენა-ენების ბიბლიოთეკა, ბიბლიოგრაფიული ინსტიტუტი,

ვ. ქისკარ დ' ეატენის განცხადება

პარიზი. 8 ოქტომბერი. (საკ-დისი). საფრანგეთის ტელევიზიამ გადასცა საფრანგეთის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ' ესტენის განცხადება 1976 წლის 5 ოქტომბერს საფრანგეთის ტელევიზიისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუს გამო.

პრეზიდენტმა განაცხადა: დიდი ინტერესით აღვიქვი საფრანგეთის ტელევიზიით ბატონ ლეონიდ ბრეჟნევის განცხადება, რომელიც მან საბჭოთა კავშირში ჩემი ოფიციალური ვიზიტიდან ერთი წლის შემდეგ გააკეთა. მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საფრანგეთის ტელევიზიას თავისი ეკრანი მარტო ფრანგი ტელემაყურებლებისათვის როდი დაუთმია, არამედ სხვებსაც ფართოდ გააცნო ლ. ი. ბრეჟნევის ინტერვიუ.

რაც შეეხება ჩვენს დამოკიდებულებას ჰელსინკში მიღებული გადაწყვეტილებებისადმი, თქვა პრეზიდენტმა, იგი ურთიერთგაგების სულისკვეთებით ხასიათდება.

დაძაბულობა მატულობს

ბეირუთი. (საკ-დისი). ლიბანში საბრძოლო მოქმედება მოწინააღმდეგე მხარეებს შორის გრძელდება ყველა ფრონტზე.

ჯერჯერობით შესამჩნევი შედეგი არ მოჰყოლია არაბული ქვეყნების ლიგის სპეციალური წარმომადგენლის ჰ. ს. ელ-ჰოლის მეცადინეობას, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ და შეუდგნენ კონფლიქტის მოწესრიგებას. მემარჯვენე ქრისტიანული ძალების ლიდერებს კვლავ შეურიგებელი პოზიცია უკავიათ.

ჩინეთის ხელისუფალთა გადაწყვეტილება

პეკინი. 8 ოქტომბერი. (საკ-დისი). ჩინეთის ხელისუფლებამ გამოაცხადეს, რომ პეკინში აიგება სპეციალური შენობა, რომელშიც მოათავსებენ სარკოფაგს მაო ძე-დუნის ნეშტით.

ეუსიქა და ეგეოგრაფია

ბუენოს თბილისში დაიწყო ბერლინის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის დღეები, რომელიც რესპუბლიკის შექმნის ოცდამეშვიდე წლისთავს ეძღვნება.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მუსიკალური კულტურის დღეები საბჭოთა კავშირში, რომელიც თექვსმეტ ოქტომბრამდე გასტანს, ამ თვის სახელმწიფოს კვიზილშზბლური დამოკიდებულების და ურთიერთკავშირის კიდევ ერთი მაგალითია. იგი დაიწყო მოსკოვში, ნაციოკოსკის საიელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში, სადაც აყვავდა ბრამსის სიმფონია და მაიერის კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.

მეგობრების მუსიკას ამ დღეებში მოისმენენ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკასა და ქალაქში.

ხელოვნების ამ ზეიმზე თბილისში ჩამოვიდა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილე ვერნერ რაკვიტცი, კომპოზიტორთა და მუსიკათმცოდნეთა კავშირის პრეზიდენტი, ერნსტ ჰერმან მაიერი, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის კულტურის განყოფილების გამგის მოადგილე ჰანს ჰენშტელი, გაზეთ „ნოიეს დეიჩლანდის" მუსიკალური რედაქტორი კ. ჰუპაკი, კულტურის სამინისტროს მუსიკალურ დაწესებულებათა სამმართველოს უფროსის მოადგილე კურტ რეე და ცნობილი გერმანელი მეგიოლინე გუსტავ შმალი.

გუშინ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა კამერული მუსიკის კონცერტი. შესრულდა ფრიც კაისლერის „საფორტეპიანო ტრიო", მანფრედ შუბერტის სიმებიანი კვარტეტი, პეტერ ჰერმანის „ტოკატა და ფუგა", საფორტეპიანო კვინტეტი, ანდრე ასრიელის „კატის ვალსი". ეს ნაწარმოები ქართველმა მუსიკოსებმა შეასრულეს.

ქართველი მსმენელები გაეცნობიან გერმანულ სიმფონიურ მუსიკას, კონსერვატორიის დიდ დარბაზში დღეს გამოვა საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სიმფონიური ორკესტრი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ლ. კილაძის დირიჟორობით. აღერდება გერმანული კლასიკური და თანამედროვე სიმფონიური ნაწარმოებები.

36-ე საკავშირო პირველობა

სტარტის სიურპრიზები

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ალექსანდრია-გაფრინდაშვილის შეხვედრა არ განახლებულა. ეს იმიტომ მოხდა, რომ ალექსანდრია სემიონოვასთან მეორე ტურიდან გამოტოვებულ პარტიას თამაშობდა. მეტოქეებმა გაითამაშეს ნიკაია სადებიუტო ვარიანტი, სადაც ალექსანდრიამ შავებით მოხერხებულად განაღაგა თავისი ძალები. შუა თამაშში ბრძოლა მეტად გამწვავდა, ქართველმა მოჰადრაკემ ლაზიერი შესწირა ეტლში. მსუბუქ ფიგურასაა და პაიკში. პარტია დაუმთავრებელი დარჩა ორმხრივი შესაძლებლობებით.

მშვენივრად თამაშობდა ტექნიკურად რთულ დაბოლოებაში ნორჩი იოსელიანი ფომინასთან. მან გამოიყენა მცირე პოზიციური უპირატესობა, ჯერ ერთი პაიკი მოიგო, შემდეგ მეორე და გაიმარჯვა. ახლა ნანა იოსელიანს 4 თამაშიდან 2.5 ქულა აქვს. ეს, რა თქმა უნდა, 14 წლის დებიუტანტისთვის ჩინებული შედეგია. ფომინა დამარცხდა ჩიბურდანიძესთანაც, სადაც ეტლების ენდშპილში მძიმე მდგომარეობა ჰქონდა. საკავშირო ჩემპიონატის შარშანდელი პრიზიორისა და მსოფლიო პირველობის მომავალი საზონთაშორისო ტურნირის მონაწილეობისთვის 4 რიგითი წაგება სტარტის დიდი სიურპრიზია. ფომინა „ერთბიროვნულად" აღმოჩნდა უკანასკნელ, მეთვრამეტე ადგილზე.

და აი კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი — 4 ტურის შემდეგ შეჯიბრებაში, სადაც ამდენი განთქმული მოჭადრაკე მონაწილეობს, 3.5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა ახალგაზრდა ოსტატობის კანდიდატი ზაიცევა. მას თამაშის განუახლებლად დანებდა ზატულოვსკაია. ლეკიტინამ მხედრების ენდშპილში, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიყენა თავისი მატერიალური უპირატესობა კახაბრიშვილთან და 3 ქულით იყოფს 2-3 ადგილებს ახშარუმოვასთან. თუ ლეკიტინას გამოჩენა ლიდერთა ჯგუფში საეს ენა ნაწარმოიერია, ზაიკევასა და ახშარუმოვას ასეთი შედეგები სპეციალისტებისათვის რამდენადმე მოულოდნელი გამოდგა. გურიელს უარესი მდგომარეობა ჰქონდა ეპშტეინთან. გორკელმა მოჭადრაკემ განსახორციელა გაცვლითი ოპერაცია და თამაში ფიზიერების ენდშპილში გადაიყვანა, სადაც ქულა მოიპოვა.

ბრძოლის არაჩვეულებრივ სიმწვავეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 4 ტურის შემდეგ 18 მონაწილიდან სულ სამი დაუმარცხებელი დარჩა.

გუშინ მეხუთე ტურში გურიელმა მოუგო გაფრინდაშვილს, ეპშტეინმა — იოსელიანს, ახშარუმოვა და ბელავენეცი უაიმზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღევანდელ მეექვსე ტურში გაფრინდაშვილი თეთრებით ეთამაშება ჩიბურდანიძეს, ხოლო ალექსანდრია — ასევე თეთრებით ახშარუმოვას.

გ. ბამრეკელი.

ხერატი: თბილისის ჭადრაკის სასახლე. მიმდინარეობს ქალთა 36-ე საჭადრაკო ჩემპიონატის მორიგი ტური...

ნ. მლებროვის ფოტო.



მინსკში, პირველ ლიგაში

მინსკში მიმდინარეობს ეაკთა საკავშირო ჩემპიონატი პირველი ლიგის მოჭადრაკეებს შორის, რომელში გამარჯვებულებიც უმაღლეს ლიგაში გადავლენ. 3 ტურის შემდეგ 2.5 ქულით პირველ ადგილზეა ოსტატი დორფმანი (ლვოვი), 2-2 ქულა აქვთ დიდოსტატებს ტაიმანოვს (ლენინგრადი), კუზმინს (ვოროშილოვგრადი), საერთაშორისო ოსტატ სვეშნიკოვს (ჩელიაბინსკი) და ოსტატ პეტროსიანს (ერევანი).

ბინა ბინაში

მატჩი მოსკოვში

გუშინ მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მეცხრე ტურის მატჩი. დიდაქალაქის „სპარტაკსა" და „დინამოს" შორის. თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით 1:0.

გაითამაშების ცხრილი

„ა" კლასის უმაღლესი ლიგა

მდგომარეობა 9 ოქტომბრისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ	ქ.
„ტორპედო"	9	7	1	1	14-2	15
„კარპატი"	9	5	2	2	17-12	12
ცსკა	9	5	1	3	16-9	11
„დინამო" მ.	9	5	1	3	9-6	11
„სპარტაკი"	9	4	2	3	11-9	10
„ზენიტი"	9	4	2	3	10-10	10
„დინამო" კ	10	2	5	3	9-11	9
„დინამო" თბ.	8	2	4	2	6-7	8
„არარატი"	9	2	4	3	10-11	8
„დინამო" მნ.	10	2	4	4	8-10	8
„ჩერნომორ."	9	4	0	5	8-15	8
„შახტიორი"	8	2	3	3	6-4	7
„კრ. სოვეტ."	9	2	3	4	8-12	7
„დნეპრი"	9	3	1	5	8-12	7
„ლოკომოტ."	9	3	1	5	7-11	7
„ზარია"	9	2	2	5	5-11	6

ტელევიზიის პროგრამიდან

□ 11 ოქტომბერი

10.30 — მულტიპლიკაციური ფილმი „ფეხმძიმეა ბოგორნა და მისი მეგობრები" (გადმოცემა მოსკოვიდან),
10.50 — „სტუმრად ზღაპართან" — მხატვრული ფილმი „ჩექმებიანი კატის ახალი თავგადასავლები",
13.20 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (VI სერია),
17.50 — „ცეროდენას ეკრანი",
18.15 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა,
18.35 — „რუსთაველ ძეფოლადეთა მხარდამხარ",
19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი),
20.45 — „ მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — სატირულ იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი „ოქროპირი" (განმეორებით),
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე",
22.40 — კონცერტი.

□ 12 ოქტომბერი

11.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩეჩეხიხუეთის შრომის რიტმი",
11.50 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ჩრდილები შუადღისას ქრებიან" (VII სერია),
17.35 — კინონარკვევი,
18.30 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მთვარეტიკოსები თუ არ ცდებიან" (ქართულ ენაზე),
18.50 — „განვახორციელოთ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი" — „შეძოდგომა ქართლის ბაღებში",
19.10 — დოკუმენტური ფილმი „დიდი საზრუხავი" (ქართულ ენაზე),
19.20 — პირველად ჩვენს ეკრანზე — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ტრასა",
19.35 — „სპორტული მომოხილვა",
20.00 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ოცხების ქალაქი",
20.40 — „საერთაშორისო დღიური",
21.10 — საესტრადო კონცერტი,
21.30 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „ტორპედო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (მოსკოვი). (II ტაიმის გადმოცემა მოსკოვიდან).
22.15 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.45 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე",
22.55 — კონცერტი. დასასრულს — ახალი ამბები.

□ 13 ოქტომბერი

10.30 — „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისთვის",
11.15 — „გმირობა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.45 — მღერის ლ. ლენინგრადიდან),
12.15 — „კინომგზაურობის კლუბი",
13.15 — დოკუმენტური ფილმი „თქმულება სვეანზე",
18.20 — „ბავშვებისათვის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მუსლიმა",
19.05 — ცოკლიდან „რუსთაველთა მხარდამხარ" — „სწრაფი ტემპი გასაშვებ ობიექტებს",
19.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „კეთილი — დღეები და ... უკეთესები" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.25 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.55 — „მრეწველობის მავნე ფაქტორები და ინდივიდუალური დაცვის პერსპექტივები",
21.25 — კონცერტი,
12.55 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „თეატრალური სალამო".

□ 14 ოქტომბერი

10.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ფიქრი ჩვენი ახალგაზრდეული",
11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი" (IV სერია) (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.40 — „სიმღერა-76" (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.50 — მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობრები",
19.10 — კინოჟურნალი,
19.20 — ჩვენი მომოხილვა",
19.30 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — „საესტრადო პანორამა,
21.00 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო-პროფკავშირული ჟურნალი,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე",
22.40 — ა. სამსონია — სატელევიზიო დადგმა „კაცი, რომელსაც ღვინო არ უყვარდა". დასასრულს ახალი ამბები.

□ 15 ოქტომბერი

10.30 — „წიგნი შენს ცხოვრებაში" (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.15 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი" (V სერია) (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.25 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.55 — პირველად ჩვენს ეკრანებზე — დოკუმენტური ფილმი „დიალოგი გრძელდება",
17.35 — მოსწავლეთათვის „კომუნისტებისაგან ვილებთ მაგალითს",
18.10 — კინოპროგრამა.
18.40 — „საერთაშორისო დღიური" — „იდეოლოგიური ბრძოლის წინახაზზე",
19.00 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი)-„დინამო" (მინსკი),
20.45 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
21.15 — კონცერტი,
21.55 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატზე",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.45 — ქართული მხატვრული ფილმი „სიხალელე ჩვენს ფანჯრებში". დასასრულ — ახალი ამბები.

□ 16 ოქტომბერი

10.30 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „არსენ ყობაძე",
11.00 — „თქვენთვის, მშობლებო" (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.30 — სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „ციმბირი". (VI სერია) (გადმოცემა მოსკოვიდან),
12.40 — „ეკრანი „შეენიოს წმენდა",
14.55 — „ოთხოთხობა" მხატვრული ფილმი „ომმარანდი, გადაცემა პირველი,
15.00 — „მულტიპანორამა",
16.10 — დოკუმენტური ფილმი „ვიტაკოფი ჰანგები",
17.00 — კინოხარკვევი,
17.15 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
17.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის,
18.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ურალის ნაკრძალში",
18.45 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი,
19.15 — „ცირკის არენაზე" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.00 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.30 — კონცერტი,
21.15 — სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: „დინამო" (კიევი) -„ტორპედო" (მოსკოვი) (11 ტაიმის გადმოცემა კიევიდან),
21.45 — კინოჟურნალი,
21.55 — „ქალთა სსკავშირო ჩემპიონატზე",
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — საფრანგეთის ტელევიზიაში საბჭოთა კავშირის კვირეულის დასკვნითი კონცერტის ტრანსლაცია სსრ კავშირის დიდი აკადემიური თეატრიდან.

□ 17 ოქტომბერი

10.30 — „მაღვიძარა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
11.45 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „წვეთი ზღვაში",
12.50 — კინოჟურნალი,
13.00 — „მუსიკალური კიოსკი" (გადმოცემა მოსკოვიდან),
13.30 — „ცეროდენას ეკრანი" (ქართულ ენაზე),
13.50 — კინოფიში,
14.20 — „საჭადრაკო სკოლა",
14.50 — საბავშვო სატელევიზიო ჟურნალი „მოზაიკა",
15.50 — კინონარკვევი,
16.00 — „დღეს კვების მრეწველობის მუშაკთა დღეა. სტუდიაშია საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის მინისტრი ი. ლეონი (გადმოცემა მოსკოვიდან),
16.15 — „ენის მოყვარულთათვის",
17.25 — „ადამიანი და გარემო",
18.00 — „საერთაშორისო პანორამა" (გადმოცემა მოსკოვიდან),
18.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცეცხლის მახლობლად",
18.50 — „ახალგაზრდობა". სატელევიზიო პროგრამა,
19.30 — „კინომოგზაურობის კლუბი" (გადმოცემა მოსკოვიდან),
20.30 — „მომამბე" — საინფორმაციო პროგრამა,
20.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბაბისეული ტყე",
21.00 — საესტრადო კონცერტი,
21.30 — „მწერალი და ხუთწლედი". პოეტი ნ. ჯალაღონია,
22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან),
22.30 — „ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი",
22.40 — კინოლექტორიუმი.

ეკრანიზაციის ჯერ

ეკრანიზაციის ჯერ თბილისი

ლენინგრადი. 8 ოქტომბერი. (საკ-დისი). ლენინგრადის ტელევიზიამ ეკრანზე გადაიტანა ალექსეი ტოლსტოის ცნობილი ნაწარმოების „ეკატერინე პეტრეს ასული" ეკრანიზაციის ფრაგმენტი.

ეკრანიზაციის ავტორია ალექსეი ბეტინი. ფილმში ეკატერინეს ასულ ანას ასახავს ალა ბეტინი, ანა ოლეინიკოვას ასახავს ალა ბეტინი, ანა ოლეინიკოვას ასახავს ალა ბეტინი, ანა ოლეინიკოვ